



INNOX

We Do Finance

შპს "ჩინეთის სარკინიგზო ჯგუფ კო ფილიალი საქართველოში"
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

7

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

10-23

მოიცავს 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ჩინეთის სარკინიგზო ჯგუფ კო ფილიალი საქართველოში”-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ჩინეთის სარკინიგზო ჯგუფ კო ფილიალი საქართველოში”-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღებით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი შენიშვნების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სხვა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ფილიალის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს სტანდარტები“).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც მოცემულია მე-2 შენიშვნაში კომპანიის შემოსავლები 2021 წლისთვის შეადგენს 76,614,448 ლარს (2020: 0 ლარი). აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რათა დაგვერწმუნებოდა რომ კომპანია ადეკვატურად ითვალისწინებს ფასს 15-ის „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მოთხოვნებს შემოსავლებისა და საკონტრაქტო აქტივების აღიარებისას წლების მიხედვით მათი გამოიჯნის მიზნით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული რწმუნება კომპანიის ბიუჯეტზე, რათა გაგვეანალიზებინა არსებული პროექტის ანგარიშგების შემდგომ განხორციელებული მშენებლობის ტენდენციები და შეგვეფასებინა ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული ვარაუდები.

გარდა ამისა, საკონტრაქტო ზარალის აღიარებიდან გამომდინარე, კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი, რაც წამოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების უგულვებელყოფას.

დამატებით, რისკების შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად არ შესაბამეობა ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ მოთხოვნებს.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო

ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას მოიცავს. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის ოგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები საკმარისი არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

▪ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინოქსი“ - SARAS-F-481994

გარიგების პარტნიორი - SARAS-A-509177

ირაკლი ჭილაძე

13 თებერვალი 2023



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ჩინეთის სარკინიგზო ჯგუფ კო ფილიალი საქართველოში”-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ჩინეთის სარკინიგზო ჯგუფ კო ფილიალი საქართველოში”-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღებით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი შენიშვნების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სხვა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ფილიალის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს სტანდარტები“).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც მოცემულია მე-2 შენიშვნაში კომპანიის შემოსავლები 2021 წლისთვის შეადგენს 76,614,448 ლარს (2020: 0 ლარი). აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რათა დავრწმუნებულიყავით რომ კომპანია ადეკვატურად ითვალისწინებს ფასს 15-ის „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მოთხოვნებს შემოსავლებისა და საკონტრაქტო აქტივების აღიარებისას წლების მიხედვით მათი გამიჯვნის მიზნით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული რწმუნება კომპანიის ბიუჯეტზე, რათა გაგვეანალიზებინა არსებული პროექტის ანგარიშგების შემდგომ განხორციელებული მშენებლობის ტენდენციები და შეგვეფასებინა ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული ვარაუდები.

გარდა ამისა, საკონტრაქტო ზარალის აღიარებიდან გამომდინარე, კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი, რაც წამოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების უგულველყოფას.

დამატებით, რისკების შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად არ შესაბამეობა ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ მოთხოვნებს.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო

ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას მოიცავს. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები საკმარისი არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

▪ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინოქსი“ - SARAS-F-481994

გარიგების პარტნიორი - SARAS-A-509177

ირაკლი ჭილაძე

13 თებერვალი 2023

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აქტივები	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	34,658,588	38,761,790	172,103,507
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	13,007,007	-	-
გადახდილი ავანსები	10	79,651,951	81,428,681	715,142
წარმოებული ფინანსური აქტივები	7	2,075,609	-	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11	5,336,568	200,550	407,880
საგადასახადო აქტივი	12	1,796,077	3,134,218	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		136,525,800	123,525,239	173,226,529
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	178,299,271	30,477,783	834,925
საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	14	830,914	907,075	345,785
არამატერიალური აქტივები	15	827,636	9,974	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი	9	4,397,048	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		184,354,869	31,394,832	1,180,710
სულ აქტივები		320,880,669	154,920,071	174,407,239
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	159,950,537	14,471,855	2,663,872
მიღებული ავანსები	17	208,412,895	164,566,260	149,865,201
საიჯარო ვალდებულებები	14	262,687	312,044	190,670
საგადასახადო ვალდებულება	12	-	-	26,611,315
ვალდებულებები თანაწილრომლების მიმართ		1,177,769	378,954	313,939
სულ მიმდინარე ვალდებულებები		369,803,888	179,729,113	179,644,997
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მოსალოდნელი საკონტრაქტო ზარალი	4	2,542,450	-	-
საიჯარო ვალდებულებები	14	645,594	689,341	147,443
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,188,044	689,341	147,443
სულ ვალდებულებები		372,991,932	180,418,454	179,792,440
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(52,111,263)	(25,498,383)	(5,385,201)
სულ კაპიტალი		(52,111,263)	(25,498,383)	(5,385,201)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		320,880,669	154,920,071	174,407,239

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 13 თებერვალს:

李志捷



10-23 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აქტივები	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	34,658,588	38,761,790	172,103,507
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	13,007,007	-	-
გადახდილი ავანსები	10	79,651,951	81,428,681	715,142
წარმოებული ფინანსური აქტივები	7	2,075,609	-	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11	5,336,568	200,550	407,880
საგადასახადო აქტივი	12	1,796,077	3,134,218	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		136,525,800	123,525,239	173,226,529
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	178,299,271	30,477,783	834,925
საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	14	830,914	907,075	345,785
არამატერიალური აქტივები	15	827,636	9,974	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი	9	4,397,048	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		184,354,869	31,394,832	1,180,710
სულ აქტივები		320,880,669	154,920,071	174,407,239
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	159,950,537	14,471,855	2,663,872
მიღებული ავანსები	17	208,412,895	164,566,260	149,865,201
საიჯარო ვალდებულებები	14	262,687	312,044	190,670
საგადასახადო ვალდებულება	12	-	-	26,611,315
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		1,177,769	378,954	313,939
სულ მიმდინარე ვალდებულებები		369,803,888	179,729,113	179,644,997
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მოსალოდნელი საკონტრაქტო ზარალი	4	2,542,450	-	-
საიჯარო ვალდებულებები	14	645,594	689,341	147,443
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,188,044	689,341	147,443
სულ ვალდებულებები		372,991,932	180,418,454	179,792,440
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(52,111,263)	(25,498,383)	(5,385,201)
სულ კაპიტალი		(52,111,263)	(25,498,383)	(5,385,201)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		320,880,669	154,920,071	174,407,239

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 13 თებერვალს:

ლი ჟიპეი

ფინანსური დირექტორი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2	76,614,448	-
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	3	(114,275,158)	(32,729,864)
საერთო ზარალი		(37,660,710)	(32,729,864)
მოსალოდნელი საკონტრაქტო მოგება/(ზარალი)	4	(2,542,450)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,982,505)	(1,186,461)
ფინანსური და სხვა შემოსავალი	6	192,257	755,682
საოპერაციო ზარალი		(41,993,408)	(33,160,643)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	7	15,380,528	13,047,461
ზარალი დაბეგვრამდე		(26,612,880)	(20,113,182)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი		(26,612,880)	(20,113,182)
წლის სხვა სრული შემოსავალი			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(26,612,880)	(20,113,182)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარის მდგომარეობით		-	(5,385,200)	(5,385,200)
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	(20,113,183)	(20,113,183)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	(20,113,183)	(20,113,183)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	(25,498,383)	(25,498,383)
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	(26,612,880)	(26,612,880)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	(26,612,880)	(26,612,880)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	(52,111,263)	(52,111,263)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(26,612,880)	(20,113,182)
ფინანსური ხარჯები და მოგება კურსთაშორის ოპერაციებიდან		(15,380,528)	(13,047,461)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	16,894,624	4,099,842
მოსალოდნელი საკონტრაქტო ზარალი		2,542,450	-
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)		(17,702,934)	(80,713,539)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება / (ზრდა)		(5,136,018)	207,330
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		198,463,085	(489,475)
საგადასახადო აქტივების ცვლილება		1,338,141	(3,134,218)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		154,405,940	(113,190,703)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	13	(165,457,613)	(34,313,964)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(165,457,613)	(34,313,964)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში		(93,104)	663,272
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(93,104)	663,272
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		38,761,790	172,103,507
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(11,144,777)	(146,841,395)
სავალუტო კურსის ეფექტი		7,041,575	13,499,678
31 დეკემბრის მდგომარეობით	8	34,658,588	38,761,790

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 405353610, დაფუძნდა 2019 წლის 17 სექტემბერს, იურიდიული მისამართი - თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პეტრიაშვილის ქ., N10. კომპანიის დამფუძნებელია 20.10.1984-ში ჩინეთში რეგისტრირებული „China Railway Tunnel Group Co. Ltd“ 91410300171075680N შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ.

ჩინეთში რეგისტრირებული China Railway Tunnel Group Co. Ltd-ის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოში კომპანიის ფილიალის უფლებამოსილი წარმომადგენელი არის ჟაი ფეიფეი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხიდებისა და გვირაბების მშენებლობას. კომპანია აწარმოებს ჟინვალ-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი 1, გვირაბის ნაწილი) მშენებლობას. საპროექტო გზის სიგრძე არის 10.3 კმ, რომელიც იწყება სოფელ წკერეში, მოიცავს 8.86 კმ სიგრძის გვირაბს, ორი ღია წესით მოწყობილი სექციით, შეერთებით, რომელიც სოფელ კობთან ახლოს მდებარე გზას უერთდება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან 2019 წლის 05 სექტემბერს გაფორმებული KGRP/CWCP-01R ხელშეკრულების ფარგლებში ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის (ლოტი 1, გვირაბის ნაწილი) მშენებლობის პროექტის მიმდინარეობის პერიოდია: 01.10.2020 – 30.09.2024 წლები (1460 დღე). მშენებლობის ნებართვა მოქმედია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშუალოდ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 431-ს (2020 წ.: 86).

საოპერაციო გარემო. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორიც საქართველოა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და ექვევა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდის გაღვლის ქვეშ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, ვინაიდან წინა წლებში კომპანიას არ ევალებოდა ფინანსური ინფორმაციის მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია ფასს-ზე გადავიდა 2019 წლის 17 სექტემბერს. გარკვეული გამოწვევების გათვალისწინებით, ფასს 1 მოითხოვს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტულ გამოყენებას. ეს ვერსია გამოყენებულია 2019 წლის 17 სექტემბერის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე - არსებული ფინანსური მდგომარეობის პირველი ფასს ანგარიშგების მომზადებისას.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი იწყება საანგარიშგებო წლის 1 იანვარს და სრულდება საანგარიშგებო წლის 31 დეკემბერს.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ამ კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი“).

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ.: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით).

სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

კომპანიის შემოსავლების აღიარების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) სამშენებლო კონტრაქტი

შემოსავლების აღიარება ხორციელდება გამოყენებული რესურსების მეთოდის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად გაწეული ხარჯების პროპორციულად. შემოსავლის აღიარება განხორციელდა დარიცხვის მეთოდით მთლიანი ხარჯთაღრიცხვის ბიუჯეტის იმ პროპორციის შესაბამისად რაც ფაქტიურად იყო გაწეული საანგარიშო წლის განმავლობაში. აღნიშნული ხარჯები დეტალურად მითითებულია ინჟინერის მიერ მომზადებულ შუალედურ გადაცემის სერთიფიკატებში.

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასებულად განიხილება, როდესაც შესაძლებელია სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება. საანგარიშო პერიოდების მანძილზე პროპორციული აღიარების მეთოდის მიხედვით, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით და ამ თანაფარდობის გამოყენებას ხელშეკრულების მიხედვით შემოსავლების აღიარებისათვის.

ძირითადი კონტრაქტის გადახდევა ხდება რეგულარულად და იმ შეთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

(ბ) პროექტის თვითღირებულების და საოპერაციო ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს პროექტის თვითღირებულების შემადგენელ ხარჯებს, როგორცაა პირდაპირი მასალების ხარჯები, პირდაპირი ხელფასებს, საპროექტო მომსახურების ხარჯებს, საბანკო გარანტიებზე გადახდილ საკომისიო თანხებს და სხვა ხარჯებს.

პროექტის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს პროექტის გახორციელებასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს, რომელიც მოიცავს პირდაპირი და დამხმარე მასალის ხარჯებს, შენელობასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხელფასებს, ტექნიკის ცვეთის ხარჯს და სხვა საბანკო გარანტიებზე გადახდილ საკომისიოებს.

საოპერაციო ხარჯები მოიცავს კომუნალურ, კომუნიკაციის, ადმინისტრაციის ხელფასის და სხვა ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაწევა ხორციელდება პროექტით განსაზღვრული ვალდებულების უწყვეტად შესასრულებლად, რომლის შეუსრულებლობაც მყისიერად არ შეაფერხებს ძირითადი სატენდერო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარებულია მისი მიღებისას ან როდესაც დადგენილია გადახდის მიღების უფლება.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და მოთხოვნამდე ანაზღაურებას ბანკში, რომელთა ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, ალიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოთხოვნები მოიცავს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ წარმოქმნილ მოთხოვნებს, რომელიც წარმოქმნილია ფაქტიურად დადასტურებული შემოსავლის შესაბამისად. მოთხოვნები ასევე მოიცავს კონტრაქტიდან მისაღებ მოთხოვნებს რომელიც წარმოქმნილია გაწეულია დანახარჯების პროპორციით აღიარებული შემოსავლის შესაბამისად მენეჯმენტის მსჯელობის საფუძველზე ფასს 15-ის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერეცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მიღებული ავანსები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მიღებული ავანსები მოიცავს კონტრაქტის პირობების შესაბამისად მიღებულ თანხებს, რომელიც პერიოდის ბოლოს არ არის გაქვითული მიმდინარე დებიტორულ დავალიანებასთან. აღნიშნული მოთხოვნა და ვალდებულება წარმოქმნილია ერთი კონტრაქტის ფარგლებში, მაგრამ არ ითვალისწინებს ურთიერთ ჩათვლას კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების 20 პროცენტის შესრულების თარიღამდე. აღნიშნული გარემოება არ არის დამდგარი ანგარიშგების თარიღისათვის.

შესაბამისად ანგარიშგების პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოების საფუძველზე ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის ბოლოსთვის ისინი წარდგენილია მიმდინარე მოთხოვნად და ვალდებულებად.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ფასს 16-ის ფარგლებში ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში. აღნიშნული არ მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ სამომავლო ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლის განსაზღვრაც თავდაპირველად ვერ ხერხდება.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები შეეყვანილია მთელ რიგ საკუთრების იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ განაკვეთი არ არის ადვილად დადგენილი, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც ჯგუფს უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფითა და მდგომარეობით.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან ან ცვლად განუსაზღვრელ გადახდებთან აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლის ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროს სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები ლართან მიმართებით:

	1 აშშ დოლარი	10 ჩინური იუანი	1 ევრო
2020 წლის 01 იანვარი	2.8661	4.1181	3.2143
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	5.0215	4.0233
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	4.8592	3.504

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალად კლასიფიცირდება დამფუძნებლები შენატანები კომპანიის კაპიტალში. თუ საწესდებო კაპიტალი იზრდება არაფულადი შენატანის სახით, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

თანხების დამრგვალება

ამ ანგარიშში თანხები დამრგვალებულია ანგარიშგების ვალუტის ერთეულებამდე.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შესრულებულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდის ექვემდებარება მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. მიღებული ავანსებზე გადასახდელი ვალდებულებები საგადასახადო ორგანოსთან დაბეგვრას ექვემდებარება თანხის ფაქტიურად მიღების დროს, რა დროსაც შესრულებულია საგადასახადო ვალდებულება და მასთან ერთად წარმოიქმნება აქტივი წინასწარ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის შესაბამისად. აღნიშნული აქტივი გამოყენებას ექვემდებარება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების დროს წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების დროს, როდესაც მოხდება იმ მომსახურების მიწოდება რომლის სანაცვლოდაც მიღებულია ავანსი.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხორციელდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, გვირაბის საბურღ სპეც. ტექნიკაზე (ეგრეთ წოდებული Tunnel Boring Machine (TBM)), ცვეთის დარიცხვის მეთოდად გამოიყენება სამუშაოს შესრულების პროპორციის მეთოდი. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობა-დანადგარები 4 წელი
- მანქანა-დანადგარები 2-5 წელი
- საოფისე აღჭურვილობა 4-5 წელი
- ავეჯი 3-4 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 3-4 წელი
- სპეცტექნიკა 3-4 წელი

იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარით იღებს მიწას, შენობა-ნაგებობებს და მიმე ტექნიკას. აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული საავანსო გადახდების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ იჯარის კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, და ამასთან არსებობს გონივრული ეჭვი რომ აქტივის გამოყენება მოხდება ხანგრძლივი პერიოდით სასარგებლო მომსახურების ვადად გამოიყენება პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღი.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. ამორტიზაციის პერიოდი შეადგენს 10 წელს.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება FIFO მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს, რომლებიც გამოიყენება მშენებლობის პროცესში. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არა ბრუნვადი მარაგები არ არსებობს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი სამეწარმეო პროცესისათვის დადგენილი მიახლოებული გასაყიდი ფასი, პროდუქციის დაკომპლექტებისა და გაყიდვის ორგანიზაციისათვის საჭირო მოსალოდნელი მიახლოებითი დანახარჯების გამოკლებით.

დასრულებულ და მიმდინარე პროექტების თვითღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ზედნადებ ხარჯებს რაც დაკავშირებულია პროექტების თვითღირებულებასთან.

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე რეზერვი არ იქმნება.

წარმოებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კომპანიის ძირითადი სატენდერო კონტრაქტის წინასწარ დათქმული ფასის ნაწილი სავალუტო რისკების შემცირების მიზნით ფორვარდულ სავალუტო ოპერაციას მოიცავს. ეს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტი იწყებს ფუნქციონირებას (როდესაც კომპანიას უზნდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გზების დეპარტამენტთან დადებული სამშენებლო ხელშეკრულებიდან) და შემდეგ გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი აღირიცხება ფინანსურ აქტივებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ფინანსურ ვალდებულებებად - როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან: ფინანსური ინსტრუმენტებიდან.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მაგალითად, შემოსავლის აღიარების პოლიტიკა, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი შეფასების დაშვებები, საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღიარება.

ბასს-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ა) ფასს 4-ის, ფასს 7-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ისა და ბასს 39-ის შესწორებები – საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა მეორე ეტაპი;

ბ) ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა.

გ) ფასს 4-ის, ფასს 7-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ისა და ბასს 39-ის შესწორებები – საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა მეორე ეტაპი .ამ შესწორებების შედეგად, საწარმოს:

- არ მოეთხოვება რეფორმით მოთხოვნილი ცვლილებების გამო ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა ან მათი საბალანსო ღირებულების კორექტირება, არამედ ამის ნაცვლად საწარმო შეცვლის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, რათა ასახოს ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო განაკვეთის ცვლილება;

- არ მოეთხოვება ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა მხოლოდ იმის გამო, რომ ის რეფორმით გათვალისწინებულ ცვლილებებს ახორციელებს, თუკი ჰეჯირება აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის სხვა კრიტერიუმებს; და

- მოეთხოვება ინფორმაციის გამჟღავნება რეფორმის შედეგად წარმოქმნილი ახალი რისკების შესახებ და ასევე იმის თაობაზე, როგორ მართავს საწარმო ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთებზე გადასვლის პროცესს.

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას საჭიროების შესაბამისად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ა) ფასს 16 -ის შესწორებები - „კოვიდ- 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“;

ბ) ფასს 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები;

გ) ბასს 1 -ის შესწორებები - „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად“;

დ) ბასს 16 -ის შესწორებები - „ძირითადი საშუალებები: დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა“;

ე) ფასს 3 -ის შესწორებები - „კონცეპტუალური საფუძველების მითითება“;

ვ) ბასს 37 -ის შესწორებები - „წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი“;

ზ) „ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებათა 2018–2021 წლების ციკლი“;

თ) ფასს 10 -ისა და ბასს 28 -ის შესწორებები - „აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა მარაგებსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში“;

ი) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 -ის „ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ“ შესწორებები;

კ) ბასს 8 -ის შესწორებები – ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება;

ლ) ბასს 12 -ის შესწორებები – გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან.

3. გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება

დასახელება	2021	2020
ქვეკონტრაქტორის ხარჯები	16,886,574	10,691,113
ნედლეული და მასალები	49,309,952	8,405,880
საბანკო გარანტიის ხარჯები	4,811,202	4,296,714
ცვეთა და ამორტიზაცია	16,894,624	4,099,842
მოვლა-შენახვის ხარჯი	5,232,234	1,316,150
ტრანსპორტირების ხარჯები	4,537,657	824,624
ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯები	12,014,636	2,187,313
დაზღვევის ხარჯები	1,165,269	263,665
საკონსულტაციო ხარჯები	174,205	150,707
კომუნალური და სხვა ხარჯები	2,542,592	195,109
ფინანსური ხარჯი	78,431	62,737
სხვა ხარჯები	627,782	236,010
სულ:	114,275,158	32,729,864

4. მოსალოდნელი საკონტრაქტო მოგება/(ზარალი)

კომპანიამ 2021 წელს ძირითადი პროექტის ბიუჯეტის გადახედვის საფუძველზე გამოავლინა 2,542,450 ლარის მოცულობის მოსალოდნელი საკონტრაქტო ზარალი 2021 წელს როდესაც კომპანიის მენეჯმენტმა მოახდინა მისი გამოვლენა.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

დასახელება	2021	2020
დასაქმებულთა ანაზღაურება	631,242	664,991
საგადასახადო ხარჯები	1,026,426	140,622
საიჯარო ხარჯები	115,028	109,612
სხვა ხარჯები	209,809	271,236
სულ:	1,982,505	1,186,461

6. ფინანსური და სხვა შემოსავალი

დასახელება	2021	2020
მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	170,646	674,934
Covid-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო შეღავათი	21,487	25,058
სხვა შემოსავალი	124	55,690
სულ	192,257	755,682

7. წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან

დასახელება	2021	2020
საკუროსო სხვაობებიდან	13,304,919	13,047,461
ფორვარდული ოპერაციებიდან	2,075,609	-
სულ	15,380,528	13,047,461

სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების წესისა და პირობების მიხედვით სრული საკონტრაქტო ღირებულება, რომელიც შეადგენს 909,024,280.61 ლარს უნდა ანაზღაურდეს შემდეგი წესით ორ ვალუტაში: 20% ლარში და 80% აშშ დოლარის ექვივალენტ ლარში ფიქსირებული კურსით. კონტრაქტით აშშ დოლარში ანაზღაურება ხდება წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული კურსით, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება მომსახურების გაწევის განხორციელებისა და ანგარიშსწორების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ დოლარში ანგარიშსწორებისას, შემსრულებლის მიერ მიღებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით ლარში გადაანგარიშებული თანხები, კონტრაქტით განსაზღვრულზე ნაკლები ან მეტია.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ზემოთ აღნიშნული კონტრაქტის ღირებულების სავალუტო ნაწილი დააკლასიფიცირა, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, კერძოდ ფორვარდული ოპერაცია ფასს 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) მიხედვით. აღნიშნული თავდაპირველად აღირიცხა სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც აღიარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი და შემდეგ გადაფასდა სამართლიანი ღირებულებით.

კომპანიის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების ზუსტი წერტილი განისაზღვრა IPC-ების თანხის ჩარიცხვის თარიღი დებიტორებისთვის, ხოლო 5%-იანი დაკავებული საგარანტიო თანხებისთვის პროექტის დასრულების თარიღი, რადგან აღნიშნული თანხის გადახდა სწორედ პროექტის დასრულებისას მოხდება მთავარი სატენდერო ხელშეკრულების მიხედვით.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
ნაღდი ფული სალაროში	385,326	199,821	2,833
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1,393,051	1,611,811	29,348,967
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	32,880,211	36,950,158	142,751,707
სულ:	34,658,588	38,761,790	172,103,507

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 წელის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი 13,007,007 ლარის მოცულობით მოიცავს მოთხოვნას ძირითადი სატენდერო კონტრაქტიდან, რომლის სრულად ანაზღაურება ხდება აქტივის წარმოშობიდან (IPC-ის გამოწერიდან) 3-4 თვეში. 2021 წელს კომპანიას მონეტარულ აქტივებზე არ დაუანგარიშებია მოსალოდნელი უიმედო ვალის ზარალი, რადგან ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნების მომენტისთვის ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა არ არსებობდა (სავაჭრო მოთხოვნის თანხა სრულად ჩაირიცხა დამქირავებლის მიერ).

2021 წელის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი 4,397,048 ლარის მოცულობით მოიცავს ძირითადი სატენდერო კონტრაქტის 5%-იან დაკავებულ საგარანტიო თანხის იმ ნაწილს რომელზეც IPC გამოიწერა. აღნიშნულ თანხაზე კომპანიას არ დაუანგარიშებია მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, რაც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის დაბალი რისკიდან.

10. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება მძიმე ტექნიკის მომწოდებლებისთვის და ქვეკონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსებისგან. სათაო ოფისი ფილიალისთვის მხარდამჭერი საქმიანობების ნაწილში ახორციელებს პროექტთან დაკავშირებულ მსხვილ მომწოდებლებთან მოლაპარაკებებს, რის საფუძველზეც საქართველოში არსებული წარმომადგენლობის მიერ თანხების გადარიცხვა პერიოდულად ხდება.

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
სათაო ოფისში გადარიცხული თანხები	73,214,663	70,761,852	-
ქვეკონტრაქტორებზე გადახდილი ავანსები	6,437,288	10,666,829	715,142
სულ	79,651,951	81,428,681	715,142

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
პირდაპირი სამშენებლო მასალები	5,117,198	35,936	345,746
სპეც. ფორმები	77,945	15,966	36,466
საწვავი	15,326	6,525	-
მცირეფასიანი სამშენებლო ინსტრუმენტები	124,987	141,106	23,324
სხვა	1,112	1,017	2,344
სულ	5,336,568	200,550	407,880

12. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება მოიცავს ავანსის თანხაზე დარიცხულ დღგ-ს თანხას, ხოლო საგადასახადო აქტივის ძირითადი ნაწილი შეადგენს ადგილობრივი მომწოდებლებისგან საქონლის და მომსახურების შესყიდვებზე მიღებულ მოკლევადიან დღგ-ს ჩათვლას.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში
 განმარტებითი შენიშვნები

13. ძირითადი საშუალება

	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	ქარხანა/ მოწყობ	გვირაბის საბურღი (TBM)	მანქანა- დანადგ.	მძიმე ტექნიკა	სატ. საშუალება	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
თვითღირებულება										
2020 წლის 1 იანვრი	3,450	-	-	-	24,299	769,108	-	45,731	21,078	863,666
შეძენა	5,243,951	1,272,688	3,454,638	-	15,032,466	7,236,538	270,282	960,918	108,705	33,580,186
შიდა გადატანები	-3,451	3,451	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	5,243,950	1,276,139	3,454,638	-	15,056,765	8,005,646	270,282	1,006,649	129,783	34,443,852
შეძენა	-	546,676	82,800	142,673,416	17,370,304	2,755,057	229,706	438,417	280,890	164,377,266
შიდა გადატანები	-4,945,314	1,353,392	3,591,922	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	298,636	3,176,207	7,129,360	142,673,416	32,427,069	10,760,703	499,988	1,445,066	410,673	198,821,118
ცვეთა										
2020 წლის 1 იანვრი	-	-	-	-	-11,465	-6,897	-	-6,037	-4,342	-28,741
ცვეთა	-	-176,629	-146,604	-	-2,134,118	-1,252,148	-27,791	-141,337	-58,701	-3,937,328
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-176,629	-146,604	-	-2,145,583	-1,259,045	-27,791	-147,374	-63,043	-3,966,069
ცვეთა	-	-627,098	-1,733,349	-4,589,382	-6,379,180	-2,371,308	-130,053	-401,272	-324,136	-16,555,778
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-803,727	-1,879,953	-4,589,382	-8,524,763	-3,630,353	-157,844	-548,646	-387,179	-20,521,847
01-01-20	3,450	-	-	-	12,834	762,211	-	39,694	16,736	834,925
31-12-20	5,243,950	1,099,510	3,308,034	-	12,911,182	6,746,601	242,491	859,275	66,740	30,477,783
31-12-21	298,636	2,372,480	5,249,407	138,084,034	23,902,306	7,130,350	342,144	896,420	23,494	178,299,271

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

14. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მშენებლობასთან დაკავშირებული და ადმინისტრაციული მიზნობრიობის მქონე შენობა, მიწა, და დანადგარები. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, შედგენილია ფიქსირებულ პერიოდების გამოყენებით 1-დან 3 წლამდე, ამასთან კომპანიის ხელმძღვანელობის რწმუნებით ხელშეკრულებები იქნება აქტიური სანამ კომპანია საქართველოს ბაზარზე მიმდინარე სამშენებლო პროექტს ახორციელებს.

2020 წლის 1 იანვრიდან იჯარების ძირითადი ნაწილი აღიარდა, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება იმ მომენტიდან, როდესაც იჯარით აღებული აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.

ლარში	გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	345,785
დამატებები	721,480
ცვეთის ხარჯი	(160,190)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	907,075
დამატებები	171,515
ცვეთის ხარჯი	(247,676)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	830,914

საიჯარო ვალდებულებები

სულ ფულადი სახსრების გადინება საიჯარო ვალდებულებისთვის 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა 312,043 ლარს (2020 წ.: 190,669 ლარს), ხოლო მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი იყო 78,431 ლარი (2020 წ.: 62,737 ლარი).

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის იჯარის ხარჯი, რომელიც არ დაკავშირებულია ყოველთვიური ცვლადი გადახდების ან/და ერთ წელზე ნაკლები სახელშეკრულებო ვადიანობის გამო იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

15. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შედგება 2019 წელს ნაყიდი სააღრიცხვო ბუღალტრული პროგრამის, 2020 წელს შესყიდული ERP სისტემა SAP Business One-გან და 2021 წელს შესყიდული წიაღისეულის მოპოვების უფლების ლიცენზიისგან.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
ადგილობრივი მომწოდებლები	8,313,329	11,849,913	1,987,778
არარეზიდენტი მომწოდებლები	151,199,022	2,188,403	676,094
გადასახდელი საგარანტიო თანხები	438,186	433,539	0
სულ	159,950,537	14,471,855	2,663,872

არარეზიდენტი მომწოდებლის თანხები 2021 წელს ძირითადად მოიცავს გვირაბის საბურღი მოწყობილობის და დიზაინის დამზადების ღირებულებას.

17. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსი წარმოადგენს დამკვეთის მიერ ჩარიცხულ თანხებს პროექტის დასაწყებად, რომელიც მოიცავს ძირითად ხელშეკრულებაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 20%-ს. ძირითადი სატენდერო ხელშეკრულების მიხედვით ავანსების გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად პროექტის დასრულების თარიღამდე ასანაზღაურებელი თანხიდან, მესამე პირის დასტურის შედეგად მას შემდეგ რაც შესრულდება სამშენებლო პროექტის 20%.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

18. რისკების მართვა

კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შესაბამისი წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
ფული და ფულის ექვივალენტები	34,658,588	38,761,790	172,103,507
წარმოებული ფინანსური აქტივები	2,075,609	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,404,055	-	-
სულ ფინანსური აქტივები	54,138,252	38,761,790	172,103,507
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	159,950,537	14,471,855	2,663,872
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	1,177,769	378,954	313,939
მოსალოდნელი საკონტრაქტო ზარალი	2,542,450	-	-
საიჯარო ვალდებულებები	645,594	689,341	26,758,758
სულ ფინანსური ვალდებულებები	164,316,350	15,540,150	29,736,569
წმინდა პოზიცია	(110,178,098)	23,221,640	142,366,938

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესება, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დანაკარგების რეზერვის გამოთვლას არ საჭიროებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, რომელიც შესაძლოა დაკორექტირდეს მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარსა და სამომავლო პროგნოზირებად ინფორმაციაზე დაყრდნობით.

	< 30	31-60	61-90	91-180	>180
ვადაგადაცილებული დღეები					
დარეზერვების პროცენტულობა	0,5%-2%	5%	25%	50%	100%

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. ხელმძღვანელობის პოზიციით კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა წარმოქმნილი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად და შესაბამისად ლიკვიდობის რისკი მინიმალურია.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო რისკი

კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი. კომპანიისათვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საპროცენტო რისკი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვარის მდგომარეობით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს აშშ დოლარის, ჩინური იუანის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დადებითი საკურსო სხვაობა წარმოქმნილია ძირითადი სატენდერო კონტრაქტით წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული გაცვლითი კურსით, რომელის შესაბამისადაც ხდება წარმოქმნილ მოთხოვნებზე ფულადი ნაკადების მიღება და რომელიც ბევრად დაბალია საანგარიშო წლის ბოლოს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსზე.

სასამართლო დავები

კომპანიის წარმომადგენლობის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით ფასს 24-ით დაკავშირებული მხარეების წარდგენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულია 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები და ნაშთები:

	2021	2020
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება		
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	115,623	(156,503)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,363,930	5,011,241
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	33,173,773	22,031,013
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესყიდვა	7,768,314	717,972
გადახდილი ავანსები	74,130,696	79,427,165

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის მენეჯმენტის წევრების დარიცხული ხელფასი და მასთან გათანაბრებული ანაზღაურება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 231,399 ლარს და 196,687 ლარს, შესაბამისად.

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან მატერიალური ოპერაციები არ განხორციელებულა.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს და გარემოებებს რომელიც დამატებით საჭიროებს წარდგენას.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „ჩინეთის სარკინიგზო ჯგუფ კო ფილიალი საქართველოში“-ს ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ინოქსი“ 404539674

ირაკლი ჭილაძე

2023 წლის 13 თებერვალი



**დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე
შპს “ჩინეთის სარკინიგზო ჯგუფ კო ფილიალი საქართველოში”-ს ხელმძღვანელობას**

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ინოქსი“ 404539674

ირაკლი ჭილაძე

2023 წლის 13 თებერვალი

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“

მმართველობის ანგარიშგება

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) ს/კ 405353610 შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის დამფუძნებელია ჩინური კომპანია შპს China Railway Tunnel Group Co., Ltd., ს/კ 91410300171075680N. საწარმო რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 17 სექტემბერს.

კომპანიის მიმართ ყადაღა/აკრძალვა; საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება; მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება რეგისტრირებული არ არის. კომპანია არ იმყოფება მოვალეთა რეესტრში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პეტრიაშვილის ქ., N10

გენერალური დირექტორი: ჟაი ფეიფეი

ძირითადი საქმიანობა

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტების განხორციელება საქართველოში. საერთაშორისო ტენდერში გამარჯვების შედეგად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ახორციელებს E-116 ავტომაგისტრალის კობი ქვეშეთის მონაკვეთის (Lot 1) სამშენებლო სამუშაოებს. პროექტი დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ.

კომპანია წარმოადგენს პირველი კატეგორიის საწარმოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის საერთაშორისოდ აღიარებული კომპანიის China Railway Tunnel Group Co., Ltd (China) <http://www.crtg.cn/> ფილიალი საქართველოში.

CRTG (China Railway Tunnel Group Co. Ltd (China)) ბაზარზე 1978 წლიდან მოღვაწეობს და უმსხვილესი ჩინური კომპანიაა გვირაბების გათხრასა და მიწისქვეშა საინჟინრო სამუშაოების შესრულებაში. ამ ხნის განმავლობაში კომპანია ითვლის 9,000 კმ.-ზე მეტი სიგრძლის უმსხვილესი და ურთულესი კონსტრუქციის მქონე გვირაბების და მიწისქვეშა სამუშაოების შესრულებას, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ, გამოცდილება აქვს წყლისქვეშა ტუნელების აგებაზე.

კომპანია ძირითადად სამშენებლო ბაზარზე პოზიციონირებს და მისი საქმიანობის ძირითადი სახეებია:

- გვირაბების, გზების და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- მიწისქვეშა მშენებლობა;
- სამშენებლო მასალების წარმოება, უზრუნველყოფა და ვაჭრობა;
- ტრანსპორტი და ლოჯისტიკა;

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 და 2020 წლებში კომპანიას ადგილობრივი ბაზრის მოკვლევა/ანალიზი არ ჩატარებია.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 და 2020 წლებში არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

განვითარების პერსპექტივები

კომპანია საქართველოში ფუნქციონირებს გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული სამშენებლო საერთაშორისო სახელმწიფო კონტრაქტების საფუძველზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს შემოსავლების არსებულ და სამომავლო სტაბილურობას ანგარიშგების პერიოდებისათვის. 2021 წლის განმავლობაში და მის შემდგომ Covid 19-ის პანდემიის გავრცელებას კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე არსებითად უარყოფითი გავლენა არ ჰქონია.

კომპანიამ შეაფასა არსებული და პოტენციური რისკები, რომელიც სამშენებლო სექტორში შესაძლოა წარმოიშვას ფორსმაჟორული სიტუაციების დროს და რომელმაც შესაძლოა უმნიშვნელო გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებზე, თუმცა მსგავსი ანალიზის ჩატარება მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების სასურველი დონის შესანარჩუნებლად.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე კომპანიამ ოფისის თანამშრომელთა ნაწილი დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანა.

მენეჯმენტმა შეაფასა მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული ეპიდემიოლოგიური რისკებით გამოწვეული შეზღუდვები, რომელთაც შეეძლოთ გავლენა ექონია ბალანსის შემდგომი პერიოდის ოპერაციებზე. კომპანიის ანგარიშგების მუხლების და ოპერაციების შესაბამისად ქვემოთ მოცემული პოზიციების მიმართ მატერიალური რისკები არ გამოვლენილა:

- შემოსავლების შემცირება
- გაუფასურებული ან ვადაგასული მარაგების ჭარბი რაოდენობის წარმოქმნა
- მიწოდების ჯაჭვისა და მიწოდების პოტენციური რისკები
- სამუშაო ძალის არა საკმარისობა
- განვითარების გეგმების შეუსრულებლობა
- მოთხოვნების არსებითი გაუფასურება
- კომპანიის გადახდისუნარიანობით გამოწვეული ვალდებულებების ზრდა
- ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო რისკების გავლენა

სამშენებლო სამუშაოებს აზიის განვითარების ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აფინანსებს. პროექტი სრულად აკმაყოფილებს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს.

საპროექტო გზის სიგრძე არის 10.3 კმ, რომელიც იწყება სოფელ წკერეში, მოიცავს 8.86 კმ სიგრძის გვირაბს, ორი ღია წესით მოწყობილი სექციით, შეერთებით, რომელიც სოფელ კობთან ახლოს მდებარე გზას უერთდება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან 2019 წლის 05 სექტემბერს გაფორმებული KKR/CWCP-01R ხელშეკრულების ფარგლებში ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის (ლოტი 1, გვირაბის ნაწილი) მშენებლობის პროექტის მიმდინარეობის პერიოდია: 01.10.2020 – 30.09.2024 წლები (1460 დღე). მშენებლობის ნებართვა მოქმედია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალის კმაყოფილების დონის შენარჩუნება. ამ საკითხებზე მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ ეტაპზე დასაქმებული ეცნობა საწარმოს შიდა განაწესს, შემდგომ თანამდებობრივ ინსტრუქციასა და უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. მომუშავე პერსონალის მოტივაციის გაზრდის მიზნით კომპანიაში შემუშავებულია, როგორც საბონუსე, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების სისტემა, სხვადასხვა სადაზღვევო პაკეტი.

საწარმოში ანაზღაურება არის როგორც ყოველთვიური, ისე საათობრივი, დღიურად და შესრულებული სამუშაოს ერთეულის მიხედვით. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის ზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და სამუშაოს ხარისხიან და დროულ შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის განსაზღვრულია გაფრთხილებითი შენიშვნა, ხოლო რიგ შემთხვევებში განთავისუფლება.

ხელმძღვანელობა მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)“ რატიფიცირებულ 16 კონვენციას.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისათვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. მიზანი ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად კომპანია საჭიროებისამებრ ახდენს თანამშრომელთა კვალიფიკაციის

ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით.

კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, პერიოდული ინსპექციების განხორციელებით.

ორგანიზაციის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე ძირითადად მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან მდებარეობითი სქესის დასაქმებული თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია რომელიც შეიძლება გამოხატული იქნას უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით. ორგანიზაცია იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. ორგანიზაციის თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად. ორგანიზაციას არსებობის განმავლობაში არ აქვს გამოცდილება, დაჭირვებოდა ანტიკორუფციულ ქცევასთან დაკავშირებული რაიმე სამართლებრივი ღონისძიებები.

შპს “ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში” მუშაობს გამჭირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, შესაბამისად დაქვემდებარებული ფილიალები არ გააჩნია. კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დირექტორთა საბჭო. კომპანიის უფლებამოსილი მმართველი არის დირექტორი, რომელსაც ექვემდებარებიან ფინანსური, კომერციული და საოპერაციო მიმართულებების ხელმძღვანელები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 431-ს (2020 წ.: 86 თანამშრომელი). კომპანიაში დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპები.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

დასახელება	2021	2020	აღწერა
1 სულ აქტივები	320,880,669	154,920,071	აქტივების ზრდა განპირობებულია ძირითადი საშუალებებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის წილის ზრდით, პროექტის ფარგლებში სამშენებლო ვალდებულებების შესრულებით
2 სულ ვალდებულებები	372,991,932	180,418,454	ვალდებულებების ზრდა განპირობებულია სათაო ოფისისგან მოკლევადიანი დაფინანსების მიღებით

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება კომპანიის თვითკონტროლი და მონიტორინგი. კონტროლის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი;
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

კომპანიის საქმიანობის გახორციელების ადგილი არ მდებარეობს სიახლოვეს:

- დაცულ ტერიტორიებთან;
- ჭარბტენიან ტერიტორიებთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან;
- პროექტი ხორციელდება სოფლის გარეთ;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან;
- სხვა სახის სენსიტიურ ობიექტებთან;

კომპანია გამუდმებით ცდილობს თავიდან აიცილოს და მინიმუმამდე შეამციროს სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე, რომელიც კონკრეტულ ქმედებებში გამოხატება, რაც გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. კომპანია იყენებს მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტი სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ნარჩენების შეგირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით კომპანია მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაშია. კომპანია გეგმავს წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოახდინოს კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იყოს სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვდება ცალ-ცალკე. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება რეგულარულად, ხელშეკრულების საფუძველზე ხარაგაულის დასუფთავების სამსახურის მიერ. სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში, შემდგომი გაუვნებელყოფის მიზნით.

სამშენებლო ტექნიკას გავლილი ექნება შესაბამისი ტექდათვალიერება, რათა არ მოხდეს მიდამოს დაზინძურება ზეთებითა და საპოხი საშუალებებით.

სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიები მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკისა და მოცულობების გათვალისწინებით, პროექტი არ ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მომატებული რისკებით. ამ მხრივ საქმიანობა არ განსხვავდება მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტებისგან. სამუშაოების მიმდინარეობას გააკონტროლებს ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების ნორმების შესრულებაზე. სამუშაო უბანი იქნება შემოზღუდული და მაქსიმალურად დაცული გარეშე პირების მოხვედრისაგან.

დაგეგმილი საპროექტო საქმიანობიდან გამომდინარე, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის. ოპერირების დასრულების შემდეგ მოხდება ტერიტორიის ზედაპირის ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაცია და განთავსდება რეკომენდირებული სისქის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მშენებლობაზე ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას მოახდენს სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე დგინდება რისკების მართვის სისტემა. კომპანიის მიერ საგარეო და შიდა საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგი გარკვეული პერიოდულობით ტარდება. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, ანალიზი, და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ხდება პოტენციურად დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორების

გამოვლენა, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად კომპანია ობიექტზე საჭირო მარაგებს იძენს პროექტის დაწყებისთანავე და მიღებული ავანსის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე მიემართება. ამგვარი მიდგომა მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს, რაც ორგანიზაციის მხრიდან პროცესის მუდმივი მონიტორინგის საჭიროებაზე მიუთითებს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შემდგომში ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გაუმჯობესებას.

რისკების და გაურკვევლობის პირობებში, მენეჯმენტი მზადაა გაამჟღავნოს კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო გეგმები, კომპანიის ფუნქციონირებადობის რისკების არ არსებობის დასადასტურებლად და კრიზისულ პერიოდში ფულადი ნაკადების მოძიების/გამომუშავების სამოქმედო გეგმები, რასაც პანდემიამდე განსაზღვრული ზრდის მაჩვენებლების შედარება რეალურ მაჩვენებლებთან და არსებული გადახრების საერთო ანალიზი დაედება საფუძვლად.

2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (ახალი კორონავირუსის) გავრცელების შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე, რამაც პანდემიისგან გამოწვეული საყოველთაო კრიზისული ვითარების გამწვავებას ხელი შეუშალა.

ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები საქართველოში წარმოიქმნება უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული სტრატეგიული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა, კომპანიის ამონაგების გენერირებას უმეტესწილად საფრთხე არ ემუქრება, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები. თუმცა კომპანია აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით, თუმცა 2021 წლის განმავლობაში მოელის გარკვეული ადგილობრივი ხარჯების ზრდას 20%-25% დიაპაზონში. დამატებით გაიზარდა PCR და სხვა ტესტების, კარანტინის რეჟიმთან დაკავშირებული, თანამშრომლების კვების, სასტუმროებში და ნაქირავებ კერძო სახლებში განთავსების ხარჯები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“

დირექტორი

ჭაი ფეიფეი

ფინანსური დირექტორი

ლი ჟიპეი

თარიღი - 13 თებერვალი 2023

გამოვლენა, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად კომპანია ობიექტზე საჭირო მარაგებს იძენს პროექტის დაწყებისთანავე და მიღებული აგანის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე მიემართება. ამგვარი მიდგომა მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს, რაც ორგანიზაციის მხრიდან პროცესის მუდმივი მონიტორინგის საჭიროებაზე მიუთითებს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შემდგომში ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გაუმჯობესებას.

რისკების და გაურკვევლობის პირობებში, მენეჯმენტი მზადაა გაამღაწოს კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო გეგმები, კომპანიის ფუნქციონირებადობის რისკების არ არსებობის დასადასტურებლად და კრიზისულ პერიოდში ფულადი ნაკადების მოძიების/გამომუშავების სამოქმედო გეგმები, რასაც პანდემიამდე განსაზღვრული ზრდის მაჩვენებლების შედარება რეალურ მაჩვენებლებთან და არსებული გადახრების საერთო ანალიზი დაედება საფუძვლად.

2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (ახალი კორონავირუსის) გავრცელების შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გავრცელდა 2020 წლის 22 მაისამდე, რამაც პანდემიისგან გამოწვეული საყოველთაო კრიზისული ვითარების გამწვავებას ხელი შეუშალა.

ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები საქართველოში წარმოიქმნება უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული სტრატეგიული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა, კომპანიის ამონაგების გენერირებას უმეტესწილად საფრთხე არ ემუქრება, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები. თუმცა კომპანია აგრძელებს პოერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით, თუმცა 2021 წლის განმავლობაში მოელის გარკვეული ადგილობრივი ხარჯების ზრდას 20%-25% დიაპაზონში. დამატებით გაიზარდა PCR და სხვა ტესტების, კარანტინის რეჟიმთან დაკავშირებული, თანამშრომლების კვების, სასტუმროებში და ნაქირავებ კერძო სახლებში განთავსების ხარჯები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“

დირექტორი



თებერვალი 2023



Info@inox.ge



34 I.Abashidze str.

